



საინფორმაციო ბიულეტენი რეპროდუქციულ ჯანმრთელობასა და  
უფლებებზე  
№2. 2016; მარტი/აპრილი

სარჩევი:

სიახლეები რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში -  
საქართველო

საკანონმდებლო ინიციატივები

საერთაშორისო ამბები

# სიახლეები რეპროდუქციული ჯანმრთელობის დაუფლებების სფეროში -საქართველო

## ჰერა XXI-ს თანასწორ-განმანათლებელი, მოხალისე YSAFE-ის ყოველწლიურ ღონისძიებაზე

ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში YSAFE -ის (ახალგაზრდების სექსუალური განათლება ევროპაში) ყოველწლიური შეხვედრა გაიმართა. ღონისძიებას საქართველოდან, ასოციაცია ჰერა XXI-ს თანასწორ-განმანათლებელი, მოხალისე მარიამ ობოლაშვილი ესწრებოდა.

YSAFE საერთაშორისო მოხალისეთა ბაზაზე დაფუძნებული ახალგაზრდული ქსელია. იგი საერთაშორისო ოჯახის დაგეგმვის ფედერაციის ევროპის ქსელის (IPPF-EN) შვილობილი ორგანიზაციაა. ყოველწლიურად ჰერა XXI -ს როგორც IPPF-EN წევრ ორგანიზაციას, საშუალება აქვს YSAFE -ის წლიურ შეხვედრაში მონაწილეობისთვის ორი აქტიური მოხალისის კანდიდატურა წარადგინოს.

ინფორმაციის ვრცლად სანახავად ეწვიეთ ბმულს:  
[http://hera-youth.ge/index.php?m=34&news\\_id=132](http://hera-youth.ge/index.php?m=34&news_id=132)



# ასოციაცია ჰერა XXI-მ ქალაქ გორში საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრა სტუდენტებთან გამართა



გასვლითი საგანმანათლებლო-საინფორმაციო შეხვედრების ფარგლებში ასოციაცია ჰერა XXI-ს ექიმი-რეპროდუქტოლოგი და თანასწორ - განმანათლებელი ქალაქ გორს ეწვივნენ და პირველი შეხვედრა გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან გამართეს. სტუდენტებს ტრენინგი ჩაუტარდათ შემდეგ საკითხებზე: ზოგადი რეპროდუქტოლოგია, სქესობრივი ცხოვრების კულტურა, კონტრაცეფციისა და ოჯახის დაგეგმვის თანამედროვე მეთოდები. ასოციაციის ექიმმა რეპროდუქტოლოგმა სტუდენტებს მიაწოდა ინფორმაცია: უსაფრთხო აბორტზე, თანამედროვე კონტრაცეფციაზე, როგორც აბორტის ალტერნატივაზე, მსოფლიოში რეპროდუქციული ჯანმრთელობის კუთხით არსებულ სიახლეებზე. ახალგაზრდები გაეცნენ ფსიქოლოგების თანამედროვე რეკომენდაციებს და მიიღეს ინფორმაცია თუ როდის არის ქალის ორგანიზმი მზად პირველადი თუ განმეორებადი ორსულობისთვის. ექიმი რეპროდუქტოლოგი მათ უსაფრთხო სქესობრივ ცხოვრებასა და სქესობრივი გზით გადამდებ ინფექციებსა და მათ პრევენციაზეც დეტალურად ესაუბრა.

სტუდენტებთან შეხვედრის შემდეგ ასოციაცია ჰერა XXI-ის წარმომადგენლები ქალაქ გორში ე.წ ვერხვების დასახლებაში მცხოვრებ, დიდი ლიახვის და ფრონეს ხეობიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს ესტუმრნენ.

წყარო: <https://www.facebook.com/AssociationHERA>

## PAPA ჯგუფის წარმომადგენელი ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრია

არასამთავრობო ორგანიზაცია ასოციაცია "ჰერა XXI „ ის მხარდაჭერით 3 წელზე მეტია შექმნილია აივ ინფექცია შიდსის სფეროში მოღვაწე სათემო ჯგუფი სახელწოდებით "პაპა"-პოზიტიური დამოკიდებულება, პოზიტიური ქცევა ( PAPA – Positive Attitude , Positive Action .) ჯგუფის მიზანია საინფორმაციო საგანმანათლებლო აქტივობებით და მტკიცებულებებზე დაფუძნებული ადვოკატირებით უზრუნველყოფილ იქნას ტოლერანტული დამოკიდებულება აივ-ინფექცია შიდსის შესახებ საზოგადოებაში, მოხდეს სგდ/აივ ინფექცია შიდსის პრევენცია და სტიგმა დისკრიმინაციის შემცირება, შეიქმნას გარემო, სადაც აივ დადებითი ადამიანები საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან.

3 წლის განმავლობაში ასოციაცია "ჰერა XXI "- ის ტექნიკური მხარდაჭერით მოხდა ჯგუფის წევრების გაძლიერება და განვითარება, როგორც უფლებრივი ასევე ორგანიზაციული თვალსაზრისით, ჯგუფის ინფორმირებულობის, ცოდნისა და უნარების გაძლიერება გამართული ტრენინგებისა თუ სამუშაო შეხვედრების მეშვეობით. 2014 -2015 წლის განმავლობაში ჯგუფის წევრები აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას ზიანის შემცირების, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამართულ შეხვედრებში, ღონისძიებებსა და ტრენინგებში, სხვადასხვა სახის სოციალურ აქტივობებსა და კონკურსებში.

სამუშაო შეხვედრების შედეგად ჯგუფის წევრების მიერ განხორციელდა აივ ინფექცია შიდსის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემების მიმოხილვა, მთავარი პრობლემების იდენტიფიცირება და მათი ანალიზი. ამ სფეროში მოღვაწე მთავარი პარტნიორი ორგანიზაციების და ქსელების იდენტიფიცირება , მათი მუშაობის სტრუქტურისა და პრინციპების შესწავლა.

გამოვლენილ პრობლემებზე დაყრდნობით ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა ძირითადი სტრატეგიული პრიორიტეტები, რომლის მიხედვითაც შეიქმნა " პაპას" 5 წლიანი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა.

2015 წელს PAPA ჯგუფმა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოში წარადგინა კანდიდატი და წევრობის შესახებ განცხადება გააკეთა. ჯგუფის აქტივობა და საქმიანობა დადებითად იქნა შეფასებული. 2016 წლის 9 მარტს, PAPA ჯგუფის წარმომადგენელი არჩეულ იქნა ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს წევრად და დღეს იგი აქტიურად არის ჩართული საბჭოს საქმიანობაში, რომელიც არის ადგილობრივ დონეზე ყველაზე ძლიერი და მნიშვნელოვანი ორგანო რათა ადვოკატირება გაუწიოს და მხარი დაუჭიროს სგდ/აივ ინფიცირებულთა საზოგადოების საჭიროებებს.

## „მე თუ მოვკვდები ეს არ იქნება დაავადების ბრალი, მე თქვენს გამო მოვკვდები” - ჰერა XXI-ემ ფილმის პრეზენტაცია გამართა

„მე თუ მოვკვდები ეს არ იქნება დაავადების ბრალი, მე თქვენს გამო მოვკვდები” - ეს აივ ინფიცირებული ქალის ასმას სიტყვებია, რომლითაც ის საზოგადოებას ტელეკამერების საშუალებით მიმართავს. „ასმა” რეჟისორ ამრ სალამას ეგვიპტური დრამაა. 2011წელს გადაღებული ფილმის მთავარი მოქმედი პირი აივ ვირუსის მატარებელია. თუმცა იგი არღვევს საზოგადოებრივ სტერეოტიპებს, თვით სტიგმას და საჯაროდ საუბრობს იმ პრობლემებზე რომელიც აივ ინფიცირებულებს აწუხებთ.

ფილმი ბევრი საერთაშორისო კინოფესტივალის ლაურეატია. საქართველოში კი მისი პრეზენტაცია ასოციაცია ჰერა XXI-ეს აივ დადებით ადამიანთა სათემო ჯგუფის „PAPA“-ს ინიციატივით მოხდა. ასოციაციის თხოვნით ფილმი ქართულ ენაზე ექსკლუზიურად თარგმნა „ADJARANET.COM“-მა. მისი პრეზენტაცია კი სოციალურ ბარ „გენერატორ 9.8“-ში გაიმართა.

წყარო: [http://hera-youth.ge/index.php?m=34&news\\_id=133](http://hera-youth.ge/index.php?m=34&news_id=133)



## საკანონმდებლო ინიციატივები

- „გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილები შევიდა
- 
- საქართველოს პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად განსაზღვრავს გენდერულ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის სფეროში საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებას, განიხილავს და ამტკიცებს შესაბამის სტრატეგიას, აკონტროლებს გენდერული თანასწორობის საკითხებზე საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას.
- მუნიციპალიტეტის საკრებულო მუნიციპალიტეტში გენდერულ საკითხებზე სისტემური და საქართველოს პარლამენტის მიერ შექმნილ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად ქმნის მუნიციპალურ გენდერული თანასწორობის საბჭოს, რომლის შემადგენლობა, სტატუსი, ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი საკრებულო.
- წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3276687>

# საერთაშორისო ამბები

## სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობა ჯანმოს ახალ სამოქმედო გეგმაში

სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის გაუმჯობესების კუთხით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სამოქმედო გეგმა (2017-2021) ქვეყნებს ახალ სახელმძღვანელო ჩარჩოს სთავაზობს. ის მათ ეროვნული პოლიტიკის, სტრატეგიისა და პროგრამების შემუშავებაში დაეხმარება. გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის ორგანიზებით ახალ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით თბილისში ორდღიანი საკონსულტაციო შეხვედრა გაიმართა.

დედათა და ჩვილთა ჯანმრთელობა, აბორტის, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებებისა და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენცია, შესაბამის მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა და განათლება სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ - ეს ის ძირითადი საკითხებია, რომელსაც სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მიმართულებით ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ახალი ევროპული სამოქმედო გეგმა განიხილავს.

წყარო: <http://liberali.ge/articles/view/21474/squesobrivi-da-reproduqtsiuli-janmrteloba-janmos-akhal-samoqmedo-gegmashi>

## არის თუ არა სექსუალური განათლება სომხეთში?

სომხეთში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური საკითხი რეპროდუქციული ჯანმრთელობისა და უფლებების სფეროში სკოლებში ყოვლისმომცველი სექსუალური განათლების ნაკლებობაა. სომხეთში დაახლოებით ნახევარი მილიონი მოზარდი და ახალგაზრდა ცხოვრობს და მათთვის მნიშვნელოვანია ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და უფლებებზე. მიუხედავად იმისა, რომ სექსუალური განათლება საკანონმდებლო დოკუმენტებით განმტკიცებულია ქვეყანაში, რეალურად მისი განხორციელება რეალურ ცხოვრებაში ნაკლებად ხდება. სექსუალური განათლების მცირე ნაწილები შეთავსებულია ისეთ სასკოლო საგნებში როგორებიცაა ბიოლოგია ან "ჯანსაღი ცხოვრების წესი". თუმცა ამ საგნების ფარგლებშიც არ ხდება მოზარდებისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდება რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე და უფლებებზე მასწავლებლების მიერ, რომლებსაც არ გააჩნიათ შესაფერისი განათლება და გამოცდილება.

წყარო: <http://swv.am/index.php/hy/activities/528-is-there-sexual-education-in-armenia#.V3Ev9dR96Hu>

საინფორმაციო ბიულეტენი მომზადებულია ასოციაცია ჰერა XXI-ს მიერ

დაგვიმეგობრდით FBგვერდზე

**ASSOCIATION HERA XXI**

იყავით სიახლეების ეპიცენტრში